ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 99

"17" მარტი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა №1ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა №1ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 22 თებერვლის №23.218.232 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა №1ბ-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.13.020.016) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, ნოდარ ჯანგირაშვილის ქუჩა N1ბ (საკადასტრო კოდი: 01.12.13.020.016)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ვალია თოფურია	01002008911	სართული 1	47.75	01.12.13.020.016.01.501
2	მზია ბიგანიშვილი	01019045258	სართული 1	82.75	01.12.13.020.016.01.500
3	ნადია სომხიშვილი	01019025040	სართული 1	15.56	01.12.13.020.016.01.502
4	ნანა პაპიკიანი	01019060884	სართული 1	51.8	01.12.13.020.016.01.504
5	ოლღა სუხიაშვილი	01015015156	სართული 1	24.8	01.12.13.020.016.01.503